

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №43

2022 წლის 24 ნოემბერი

ქ. რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამის „HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი 06 01 06) განხორციელების წესი დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი 06 01 06) განხორციელების წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარი შეროზია

დანართი №1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი 06 01 06) განხორციელების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 06)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური (შემდგომში – ქვეპროგრამის განმახორციელებელი).

**მუხლი 2. ქვეპროგრამის მოსარგებლეები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება**

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 რეცეპტორ-დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავედროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი



2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს შემდეგი მედიკამენტების დაფინანსების უზრუნველყოფას:

ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი;

ბ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო;

[გ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ლაპატინიბი (ტაივერბი). (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

### მუხლი 3. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

1. ქვეპროგრამით მოსარგებლეს მოთხოვნილი მედიკამენტის ღირებულება უფინანსდება „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ თანადაფინანსების პრინციპით:

ა) HER-2 რეცეპტორ-დადებითი ძუძუს ადრეული კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში - პრეპარატი ტრასტუზუმაბი (ჰერცეპტინი) ერთწლიანი კურსის მოცულობით (არაუმეტეს 18 ინფუზია) დაფინანსებისას დარჩენილი თანხიდან ყოველ ჯერზე არაუმეტეს 400.00 ლარის ოდენობით, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ბ) HER-2 რეცეპტორ-დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ტრასტუზუმაბი+პერტუზუმაბი/ფესგოსა და ტრასტუზუმაბის (ჰერცეპტინი) ერთწლიანი კურსის მოცულობით (არაუმეტეს 18 ინფუზია) დაფინანსებისას დარჩენილი თანხიდან ყოველ ჯერზე არაუმეტეს 400.00 ლარის ოდენობით, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

[ბ. HER-2 რეცეპტორ-დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ტრასტუზუმაბი+პერტუზუმაბი/ფესგოსა (არაუმეტეს 8 ინფუზია) და ტრასტუზუმაბის (ჰერცეპტინი) ერთწლიანი კურსის მოცულობით (არაუმეტეს 18 ინფუზია) დაფინანსებისას დარჩენილი თანხიდან ყოველ ჯერზე არაუმეტეს 700.00 ლარის ოდენობით, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000 ათასს, მედიკამენტი უფინანსდებათ არაუმეტეს 1000 ლარისა. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

2. გამონაკლისის სახით ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბიუჯეტო წლის მანძილზე არაუმეტეს 18 ინფუზიის დაფინანსებას, თითოეულის შემთხვევაში არაუმეტეს 400.00 ლარის ოდენობით.

[2. გამონაკლისის სახით ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბიუჯეტო წლის მანძილზე არაუმეტეს 18 ინფუზიის დაფინანსებას, თითოეულის შემთხვევაში არაუმეტეს 1000.00 ლარის ოდენობით. გამონაკლისს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000 ათასს, მედიკამენტი დაუფინანსდება თითოეულ შემთხვევაში არა უმეტეს 1500 ლარისა. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

[3] HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ლაპატინიბის (ტაივერბი) დაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთწლიანი კურსით, თითოეულ ჯერზე არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.



## მუხლი 4. ქვეპროგრამის მოსარგებლები

1. ქვეპროგრამით სარგებლობის მსურველი პირი ან პირის კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას და წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) მუდმივი ბინადრობის მოწმობა (არსებობის შემთხვევაში);

გ) კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

დ) საინფორმაციო ბარათი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან (საჭიროების შემთხვევაში);

ე) დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი – იძულებით გადაადგილებული პირის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა;

ზ) კალკულაცია შესაბამისი დაწესებულებიდან/აფთიაქიდან;

თ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიერ „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაცემული დაფინანსების თანხმობის ან დაფინანსებაზე უარის წერილი „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში;

[ი), „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია ყოველი სამი კურსის შემდგომ დამატებით წარმოადგინოს კონსილიუმის დასკვნა (რომელიც დამოწმებულია შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის, მ.შ. ფორმა №IV-100/ა-ს გამცემი ექიმის ხელმოწერითა და ბეჭდით) ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობასთან დაკავშირებით. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

2. ქვეპროგრამით სარგებლობის მოთხოვნის ყველა მომდევნო ჯერზე მოსარგებლემ მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს განახლებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა და კალკულაცია შესაბამისი დაწესებულებიდან/აფთიაქიდან.

[2. ქვეპროგრამით სარგებლობის მოთხოვნის ყველა მომდევნო ჯერზე მოსარგებლემ მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს განახლებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა, კალკულაცია შესაბამისი დაწესებულებიდან/აფთიაქიდან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაცემული დაფინანსების თანხმობის წერილი (არსებობის შემთხვევაში). (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 22.12.2023წ.

## მუხლი 5. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამასთან შესაბამისობას/სისწორეს ადგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური. ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური უფლებამოსილია ბენეფიციართა მონაცემები გადაამოწმოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ელექტრონულ რეესტრში.

2. განმცხადებლის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, განცხადების რეგისტრაციიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, წარმოდგენილი დოკუმენტების ქვეპროგრამასთან



შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. ქვეპროგრამით სარგებლობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით ეცნობება განმცხადებელს.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, მედიკამენტის მიმწოდებელი დაწესებულების სახელზე გაიცემა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელმოწერილი მიმართვის წერილი, შემდეგი მონაცემების მითითებით:

ა) დაწესებულების სახელწოდება/აფთიაქი;

ბ) ბენეფიციარის მონაცემები;

გ) დაფინანსებული თანხის ოდენობა;

დ) წერილის მოქმედების ვადა.

4. დაფინანსების შესახებ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წერილის საფუძველზე დაწესებულება ბენეფიციარს გადასცემს ფორმა №IV-100/ა-ში მითითებულ მედიკამენტებს. მიმწოდებელსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5. მიმწოდებელი ვალდებულია მიმართვის წერილით განსაზღვრული ვადის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს წარუდგინოს მომსახურების შესახებ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა), შემთხვევათა რეესტრი, მოსარგებლესა და მიმწოდებელს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, აგრეთვე გაცემული თანხმობის წერილის ასლი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებელსა და მედიკამენტის მიმწოდებელ დაწესებულებას/აფთიაქს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

## **მუხლი 6. ანგარიშგება**

1. ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „HER-2 დადებით მუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 06)“ ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში.

2. ფინანსურ ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება მიმართვის წერილის მოქმედების ვადის დარღვევით წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

